13/02/2025

MES 7 25 0000146851

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

სხდომის ჩატარების თარიღი 30/01/2025
სხდომის დაწყების დრო 14:32 სთ
სხდომის დამთავრების დრო 15:58 სთ
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე - გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი - ქეთევან გილაშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე პირები

საბჭოს წევრები:

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ქეთევან გილაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - საბჭოს მდივანი;
ერეკლე ასტახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ქეთევან ნატრიაშვილი - გერმანული საკონსულტაციო კომპანიის - PE Consult GmbH პროფესიული განათლების პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი;
ჯონი ბოჭორიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლის დირექტორი;
თეონა თიგიშვილი - შპს "ჯეო სქაი სქულის" მასწავლებელი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში- ცენტრი):

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში ავტორიზაციის საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
შალვა მეკრავიშვილი - საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - საბჭოს წევრი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სკოლა თამარიონი +:
თამარ უთნელიშვილი - სკოლის დირექტორი;
სალომე ოსეფაშვილი - სკოლის იურისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

დღის წესრიგის გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩანიშნული იყო 14:00 საათზე. გამომდინარე იქედან, რომ თავდაპირველად საბჭოს თავმჯდომარესა და სკოლის დირექტორს ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, არ ისმოდა სკოლის წარმომადგენლის ხმა და არ ჩანდა საბჭოს თავმჯდომარის გამოსახულება, საბჭოს სხომა დაიწყო 14:32 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით. დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. "შპს სკოლა თამარიონი+სთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ" ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 02 დეკემბრის №1544249 გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

- „შპს სკოლა თამარიონ+-სთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიღებულ 2024 წლის 02 დეკემბრის N1544249 გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:
√ არა

საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა დეტალურად განიხილეს დაწესებულების შესახებ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია და საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის თანახმადაც დაწესებულება სამ სტანდარტში შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილი ხარვეზების ფონზე, დაწესებულება ვერ შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისის გაწევას მოსწავლეებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სრულად იზიარებდა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებასა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მისი თქმით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დაწესებულების ინფრასტრუქტურულ და მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას, რომელიც არ იყო საკმარისი სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორმა, თამარ უთნელიშვილმა, საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო საჩივრის შინაარსი და აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 2 დეკემბრის MES 0 24 0001544249 გადაწყვეტილება და მის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული 2024 წლის 2 დეკემბრის MES 8 24 0001543248 სხდომის ოქმი ეწინააღმდეგებოდა კანონს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხ ლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო: თამარიონი+ -მა მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ზოგადი განათლების სამ საფეხურზე ავტორიზაციის გავლის მიზნით და მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოითხოვა 120. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 29 და 30 აგვისტოს სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის საფუძველზე ექსპერტებმა მოამზადეს დასკვნის პროექტი, რომელიც გასაცნობად და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისთვის გაეგზავნა დაწესებულებას. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულების მიერ მომზადდა და ცენტრში წარდგენილ იქნა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და გამოსწორებული დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის თანახმად, კი,სტანდარტები შეფასდა შემდეგნაირად:

- · სტანდარტი 1 - არ შეესაბამება;
  · სტანდარტი 2 - არ შეესაბამება;
  · სტანდარტი 3 - არ შეესაბამება;
  · სტანდარტი 4 - მეტწილად შესაბამისი.

სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უმცირეს დროში, ექსპერტთა ვიზიტის დასრულებიდან, დასკვნის პროექტის მიღებამდე შეძლო დასკვნაში ასახული საკითხების შესაბამისობაში მოყვანა, ნაწილის კი შესაბამისობის გეგმაში გადატანა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლა გადიოდა პირველად ავტორიზაციას, რაც გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაურკვეველი იყო რატომ მიიჩნიეს ექსპერტებმა შეუსაბამოდ, როდესაც საუბარი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის ფილოსოფიის გაზიარებაზე. აღნიშნულის დამადასტურებლად დაწესებულებამ ცენტრს წარუდგინა სამუშაო ჯგუფის ოქმები, რომელთაგანაც მე-2 ოქმში აღნიშნული იყო, რომ სკოლის ფილოსოფიის გაზიარება მოხდა მათთვის შეხვედრაზე. ვინაიდან დაწესებულება არ იყო მოქმედი და საზოგადოებას მხოლოდ თანამშრომლები წარმოადგენენ, გარდა ოქმისა, რა ფორმით შეიძლებოდა მომხდარიყო გაზიარების დადასტურება ან რატომ არ შეიძლებოდა შეხვედრის ოქმი ჩათვლილიყო მტკიცებულებად, გაუგებარი იყო და არ გამომდინარეობდა სტანდარტებიდან, ვინაიდან არსად არ იყო მითითებული კონკრეტული მტკიცებულებების ნუსხა ან ფორმა.
რაც შეეხებოდა 1.2.1.2 ინდიკატორის ხარვეზს, რომელიც სტრატეგიული გეგმის დამტკიცების საკითხს ეხება, ექსპერტები განმარტავდნენ, რომ შვიდწლიან გეგმაში მითითებული იყო დამფუძნებელთა საბჭოს მხრიდან დამტკიცების უფლებამოსილება, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, ვინაიდან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მითითებული იყო შემდეგი: „სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრები და შემუშავდა სტრატეგიული მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომელიც წარედგინა დამფუძნებელთა საბჭოს. დამფუძნებელთა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა თამარიონი+ -ის ძირითადი სტრატეგიული მიზნები, რომლის შესრულებისთვისაც იმოქმედებს სკოლა მომავალი 7 წლის განმავლობაში.“ შესაბამისად, გეგმაში აქცენტი გაკეთებული იყო სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანების დამტკიცებაზე და არა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების უფლებამოსილებაზე, რომელიც

დაწესებულების დებულების მე-9 მუხლის მიხედვით სწორედ რომ დირექტორის კომპეტენცია იყო. გამომდინარე აქედან, ხარვეზი და მისი შინაარსი იყო არა რელევანტური.
მე-3 სტანდარტთან მიმართებით აღსანიშნავი იყო, რომ საქმე ეხებოდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი საქმისწარმოების წესების დარღვევას, შესაძლოა წარმოადგენდეს, როდესაც მაგალითად მინიჭებული აქვს დოკუმენტს არასწორი ნომერი, გატარებულია არარსებული ბრძანება და ა.შ. თუმცა, ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში არ მოქმედებდა კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი არ დასტურდებოდა ხარვეზში ასახული ფაქტობრივი გარემოებებით. კერძოდ, საქმისმწარმოებელმა ნომერი მიანიჭა და გაატარა ხელშეკრულება, რომელსაც ჰქონდა ხელმოწერა, ეს არ მომხდარა განზრახ ვინმეს შეცდომაში შეყვანის მიზნით, არამედ დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი.
თამარ უთნელიშვილმა მე-2 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ და მისმა პედაგოგიურმა კოლექტივმა ნამდვილად იმუშავა ხარვეზებზე და მიიჩნია, რომ ყველაფერი მათი მხრიდან გამოსწორებული იყო, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც საგნობრივი ექსპერტების დასკვნიდან იკვეთებოდა, არ აღმოჩნდა საკმარისი. დაწესებულება, მიუხედავად ძველი სკოლის გამოცდილებისა, ავტორიზაციასა და ახალ სტანდარტებს შეხვდა ახალი მასწავლებლებით და როგორც აღმოჩნდა, მათ ესაჭიროებოდათ დახმარება, დამატებითი ტრენინგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რასაც დაწესებულება აუცილებლად უზრუნველოფდა ფუნქციონირების დაწყების შემთხვევაში.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მე-4 სტანდარტზე არ გაამახვილებდა ყურადღებას, ვინაიდან ის შეფასდა მეტწილად შესაბამისად და მასში ასახული გარემოებების გასათვალისწინებლად დაწესებულებას ჰქონდა დრო, ხოლო მეტწილი შესაბამისობა თავის მხრივ არ იწვევდა ავტორიზაციის გაუქმებას ან მინიჭებაზე უარის თქმას.
შპს თამარიონი+-ის საკითხის განხილვისა და პოზიციების შეჯერების შედეგად, საბჭოს ოთხმა წევრმა მხარი დაუჭირა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებდა ხარვეზების ისეთ ხასიათზე, რომელიც არსებით ზიანს არ მიაყენებდა დაწესებულებას საქმიანობის დაწყებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს იმაში, რომ სკოლა არ იყო სრულყოფილად მომზადებული, თუმცა, ეს იყო პირველადი ავტორიზაცია, განსაკუთრებით ახალი სტანდარტების ჭრილში. დაწესებულებას ჰქონდა საკმარისი რესურსი და შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა და გამოესწორებინა ყველა არსებული ხარვეზი, რისი გადამოწმების შესაძლებლობაც ცენტრს თავისუფლად შეეძლებოდა მონიტორინგის გზით.
დასკვნის პროექტში დადგენილი შეუსაბამობები, იყო იმგვარი ხასიათის, რომელთა ნაწილის გამოსწორებაც დაწესებულებამ შეძლო ჯერ კიდევ არგუმენტირებული პოზიციის გაგზავნამდე, უმცირეს დროში, ხოლო ნაწილს გამოასწორებდა.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება N MES 0 24 0001544249 შპს თამარიონი+ -ის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ და მის ნაწილად ცნობილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 2 დეკემბრის MES 8 24 0001543248 სხდომის ოქმი მიღებული იყო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ეწინააღმდეგება კანონს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგი გარემოებების გამო:
სზაკ 60[1]მუხლის თანახმად პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.
2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის

32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საბჭოს ათი წევრიდან არც ერთს არ დაუსვამს შეკითხვა იყო თუ არა გამოვლენილი ხარვეზები ისეთი სახის, რომ იგი გამოსწორებას არ ექვემდებარებოდა. საბჭოს წევრებიდან ასევე სავარაუდოდ არცერთი მათგანი არ გაცნობილა დახარვეზებული სტანდარტების საფუძვლებს, თუ რა წარადგინა დაწესებულებამ და რატომ არ მიიჩნიეს ექსპერტებმა იგი სათანადოდ. აღნიშნულით საბჭოს მიერ დაარღვეულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-19 მუხლი, რომლის თანახმად საბჭოს წევრი უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი და ნეიტრალური. საბჭოს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ვალდებულება ყოველმხრივ, ნათლად და ობიექტურად მოიკვლიოს საქმისწარმოების მასალები, შეაფასოს მტკიცებულებები და ურთიერთშეჯერების საფუძველზე - კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, განმარტა სკოლის წარმომადგენელმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა, რომ საბჭომ უხეშად დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7, მე-13, 53-ე, 96-ე მუხლები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. 2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.“ _ მოცემულ შემთხვევაში, საბჭომ ისე გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება, რომ აბსოლუტურად დაუსაბუთებლად და არაპროპორციულად შეზღუდა დაწესებულების კანონიერი უფლებები და ინტერესები.
  თამარ უთნელიშვილის განმარტებით, საბჭოს მიერ, ასევე დაირღვა სზაკ-ის 53.5 და 96-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.“ (სზაკ მუხლი 53, ნაწილი 5), „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სზაკ მუხლი 96, ნაწილი 1,2). როგორც პრაქტიკამ ცხადყო, საბჭოს აქვს უფლებამოსილება, რომ შეეცვალა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება, რაც საბჭოს სრულყოფილად არ განუხორციელებია.
ყოველივე ზემოაღნიშნულით, დაირღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 32-ე, 53- ე, 95-ე 96-ე, 98-ე მუხლების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხ ლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება N MES 0 24 0001544249 და მის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული 2024 წლის 2 დეკემბრის MES 8 24 0001543248 სხდომის - ოქმი ექვემდებარება ბათილად ცნობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თხოვნით მიმართავდა სააპელაციო საბჭოს, განეხილათ საჩივარი და ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 2 დეკემბრის N MES 0 24 0001544249 გადაწყვეტილება, ბათილად ცნობის მითითებებით, ხელახლა განხილვისთვის დაებრუნებინათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის.

სკოლის წარმომადგენელმა, თამარ უთნელიშვილმა, თქვა, რომ სკოლას გამოსწორებული ჰქონდა ინფრასტრუქტურული ხარვეზები და შეეძლო აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტო მასალის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ შეეძლო ფოტო მასალის წარმოდგენა, თუმცა, სააპელაციო საბჭო მსჯელობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ოქმისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესახებ და ზემოაღნიშნული გარემოება ვერ მოახდენდა გავლენას საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი, დაინტერესდა, როდის გამოასწორა დაწესებულებამ დასკვნაში ასახული ხარვეზები.

დაწესებულების წარმომადგენლის, თამარ უთნელიშვილის, განმარტებით, დაწესებულებამ გარკვეული ხარვეზები გამოასწორა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომამდე, ხოლო ნაწილი გამოსწორდებოდა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

აქვე, საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე, დაინტერესდა, დასკვნის წარდგენის დროისთვის იყო თუ არა გამოსწორებული ხარვეზები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, ცენტრში გადააგზავნეს განახლებული კურიკულუმები და ოქმები, ხოლო ინფრასტრუქტურული ნაწილის გამოსწორება ვერ მოხერხდა დასკვნის შედგენამდე. აქვე, დაწესებულების იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, აღნიშნა, რომ ხარვეზები შეეხებოდა ოთხივე სტანდარტს, მათ შორის უმეტესი მათგანი იყო გამოსწორებული, თუმცა, მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებით სრულად ვერ მოხერხდა ხარვეზის აღმოიფხვრა, რადგან შენობა საჭიროებდა მცირე სარემონტო სამუშაოებს და აღნიშნული მოითხოვდა დროს.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ N1.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტებს აღნიშნული ჰქონდათ, რომ „დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც, მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო არსებული ფილოსოფიის რევიზია, თუმცა, სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი არ იქნა შემუშავებული ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადად მითითებული იყო 2024 წლის 20 სექტემბერი. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ დადგენილი შესრულების ვადა დამდგარი იყო, ხოლო მათი მხრიდან არ იყო მოწოდებული შესაბამისი დოკუმენტაცია და შესაბამისად, ვერ დადგინდა მოახდინა თუ არა სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება, უკუკავშირის მიღება, მიღებული შედეგების ანალიზი და გათვალისწინება.“ მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფს დეტალურად ჰქონდა გაწერილი ხარვეზში, თუ რა უნდა წარმოედგინა სკოლას. ხათუნა ბარაბაძემ N1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებითაც აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ხარვეზის აღწერაში დეტალურად განავრცეს, რომ „დასკვნის პროექტის პასუხად დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების

გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების განხორციელებაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადად მიუთითა 2024 წლის 29 სექტემბერი. დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი ჰქონდა მისიით განსაზღვრული ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული ამოცანები. თუმცა, კვლავ გაურკვეველი იყო სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ნაწილი. კერძოდ, ახალ შვიდწლიან გეგმაში სკოლას მითითებული ჰქონდა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი საბოლოო სახით დასამტკიცებლად წარედგინება დამფუძნებელთა საბჭოს. დაწესებულებას პროცესში არ წარმოუდგენია დამფუძნებელთა საბჭოს ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე მასალა. შესაბამისად, კვლავ გაურკვეველი და რთული იყო იმის თქმა, დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგია დამტკიცებული იყო თუ არა უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.“ საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, აქვე აღნიშნა, რომ საჩივრის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა მხოლოდ სკოლის მიზნები, შესაბამისად, განმარტა, რომ ექსპერტები დეტალურად აღწერდნენ ხარვეზს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარში იკვეთებოდა სხვა ტიპის რეალობა.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადააგზავნა სამუშაო ჯგუფის ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა რევიზიას, თუმცა, ვინაიდან სკოლა არ იყო მოქმედი და სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენდნენ მხოლოდ სკოლის მასწავლებლები და დირექცია, მათი ჩართულობა დაფიქსირდა შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვაში და დამტკიცების შემდგომ მოხდებოდა მისი გაზიარება, შესაბამისად, აღნიშნა, რომ ბუნდოვანი იყო, რატომ არ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრის ოქმი მტკიცებულებად.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე, საჩივარში აღწერილი გარემოების საფუძველზე, დაინტერესდა, რატომ იყო აღნიშნული წარმოება სკოლისთვის პირველადი ავტორიზაცია, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ წარსულში ფუნქციონირებდა სკოლა თამარიონი და სკოლა თამარიონ+-ც. აქვე, დაინტერესდა, გასულ სასწავლო წელს (ძველ სკოლაში) ჰყავდათ თუ არა მოსწავლეები. მისი განმარტებით, განახლებული სტანდარტი ძალაში შევიდა დიდი ხნის წინ და დაწესებულება მასზე უნდა ყოფილიყო მორგებული.

სკოლის დირექტორმა, თამარ უთნელიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებდა სკოლა თამარიონის სახელით, რომელსაც ჰყავდა სხვა დირექტორი. მისი განმარტებით, სკოლას უწევდა რეავტორიზაცია და ვინაიდან გაიზარდა საფასური, დაწესებულება ვერ შეძლებდა საკუთარი რესურსით რეავტორიზაციის თანხის გადახდას და სწორედ ამიტომ მათ გადაწყვიტეს, ცენტრში არ წარმოედგინათ რეავტორიზაციის განაცხადი. სკოლის დირექტორის თქმით, მას შემდეგ კი, რაც შეიტყვეს, რომ ავტორიზაციის საფასური შემცირდა, გადაწყვიტეს, გაევლოთ ავტორიზაცია შპს სკოლა თამარიონ+-ის სახელით. მისი განმარტებით, ადმინისტრაციამ აიყვანა ახალი მასწავლებლები, თუმცა, მათ არ ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება კურიკულუმების შემუშავების კუთხით.

პასუხად, საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას წინა გამოცდილებიდან უნდა ჰქონოდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, მშობლების უკუკავშირები და სხვა. მისი თქმით, სკოლისათვის ცნობილი იყო როგორ უნდა წარმართულიყო პროცესები, ძველი გამოცდილების საფუძველზე და საჩივარში წარმოდგენილი გარემოებები და ხაზგასმა იმაზე, რომ სკოლა იყო ახალი, წარმოადგენდა ფორმალურ მხარეს. აქვე, მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამფუძნებელი საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასთან დაკავშირებით.

სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის, განმარტებით, დამფუძნებელთა საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას სტრატეგიული მიმართულებებისა და ამოცანების დამტკიცებაზე და არა შვიდწლიანი სტრაგეტიული გეგმის დამტკიცებაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ სხვადასხვა დოკუმენტაციაში იკითხებოდა სხვადასხვა რამ. კერძოდ, ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ 2024-2025 წლის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრები და შემუშავდა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომლებიც წარედგინა დამფუძნებელთა საბჭოს, დამფუძნებელთა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა სტრატეგიული მიზნები, რომლის შესრულებითაც იმოქმედებდა სკოლა მომდევნო 7 წლის განმავლობაში. ექსპერტის თქმით, სხვა დოკუმენტში იკითხებოდა, რომ სტრატეგიული გეგმა მტკიცდებოდა სკოლის დირექტორის მიერ. მისი განმარტებით, დოკუმენტაციაში არსებული მსგავსი გაუგებრობა აჩენდა კითხვის ნიშნებს და ექსპერტებისთვის გაურკვეველი რჩებოდა რეალურად ვინ ამტკიცებდა სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

აქვე, ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, განმარტა, რომ სტრატეგიული მიზანი და ამოცანა იყო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფისათვის არ იყო წარმოდგენილი დამფუძნებელთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ და ჩათვლიდნენ, რომ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მათ მიერ იყო დამტკიცებული, აქედან გამომდინარე, ექსპერტებისთვის ბუნდოვანი იყო რა ეტაპებით ხორციელდებოდა სტრატეგიული გეგმის დამტკიცება.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი, დაინტერესდა, საბოლოოდ, ვინ ამტკიცებდა სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მიმართა სკოლის წარმომადგენელს გაზიარებასთან დაკავშირებით გაეკეთებინათ მეტი კომენტარი.

დაწესებულების იურისტის, სალომე ოსეფაშვილის, განმარტებით, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს ამტკიცებდა სკოლის დირექტორი. გაზიარებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც მისია, ხედვა და ღირებულებები არ იყო შემუშავებული საზოგადოების ჩართულობით, სტანდარტი გადადიოდა „ნაწილობრივ“ შესაბამისობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სკოლას მხოლოდ გაზიარებასა და უკუკავშირზე ჰქონდა პრობლემა, სკოლის წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ აღნიშნული არ უნდა გამხდარიყო შეუსაბამობის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი, დაინტერესდა, უფლებამოსილი იყო თუ არა დაწესებულება, გაეგრძელებინა მისიისა და ხედვის შემუშავება, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის გაზიარება არ ხდებოდა სასკოლო საზოგადოებისათვის. მისი მოსაზრებით, სტრატეგიული გეგმის მიღება და დამტკიცება საზოგადოების ჩართულობის გარეშე იყო ყოვლად მიუღებელი.

საბჭოს წევრმა, თეონა თიგიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, თუ რატომ ჰქონდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ხელშეკრულებას სხვა პირის ხელმოწერა.

სკოლის დირექტორის, თამარ უთნელიშვილის, განმარტებით, აღნიშნულ პირთან სკოლა თანამშრომლობდა ორი წლის წინ, შემდგომ, როდესაც ხელახალი ხელშეკრულების გაფორმების დრო დადგა, სატელეფონო საუბრისას ამ ადამიანისგან მიიღეს სიტყვიერი თანხმობა, რომელიც შემდგომ გააბათილდა. სკოლის დირექტორის განმარტებით, მათ აიყვანეს შრომის უსაფრთხოების ახალი სპეციალისტი. საქმისმწარმოებელმა დოკუმენტაციის შეგროვების დროს დაუშვა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საქმისმწარმოებელმა ხელშეკრულებას შეცდომით მიაბა ძველი თანამშრომლის ხელშეკრულების ფურცლები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, გამოთქვა მოსაზრება და აღნიშნა, რომ საბჭოს ჩატარების დღემდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოს წევრები დეტალურად ეცნობოდნენ თითოეული სკოლის მასალას. მისი თქმით, შპს სკოლა თამარიონ+-ის საჩივარში აღწერილი გარემოება, რომ ავტორიზაციის საბჭოს არ დაუსვამს დამაზუსტებელი კითხვები იყო შეურაცხმყოფელი.

აქვე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ქეთევან ნატროშვილის, განმარტებით, სკოლამ ავტორიზაციის საბჭოზეც აღნიშნა, რომ არ ჰყავდათ

მოსწავლეები, თუმცა, ჰყავდათ თანამშრომლები. მისი თქმით, სკოლამ გადმოაგზავნა ოქმი, სადაც მოცემული იყო, რომ შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და ზეპირსიტყვიერად გააცნო სხვა თანამშრომლებს. ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარეობისას გამოიკვეთა მთელი რიგი გარემოებები, რომლებმაც კითხვები გაუჩინა საბჭოს თითოეულ წევრს, მათ შორის მოიაზრებოდა არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ზეპირსიტყვიერად ჩატარებული სამუშაო შეხვედრა და სხვა. საბჭოს წევრის განმარტებით, ეს გარემოებები და დასკვნაში ასახული ფაქტები იყო საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივი. აქვე, განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სკოლას არც ერთი მოსწავლე არ უფიქსირდებოდა, თუმცა სამ სტანდარტში ჰქონდა უარყოფითი შეფასება, ასეთ სკოლას საბჭო ვერ მისცემდა ფუნქციონირების უფლებას.
საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე, დაინტერესდა, როდის გააფორმა სკოლამ ხელშეკრულებები მასწავლებლებთან.
სკოლის დირექტორის, თამარ უთნელიშვილის, განმარტებით, სკოლამ მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გააფორმა 01 ივნისს. აქვე, ხათუნა ბარაბაძემ, განმარტა, რომ განაცხადის შემოტანამდე 3 თვეზე მეტი ხნით ადრე უნდა ჰყოლოდა სკოლას მასწავლებლები, რათა ობიექტური ვადებით დაწყებულიყო სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "შპს სკოლა თამარიონი+- სთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ" ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 02 დეკემბრის №1544249 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:23 საათი
დასრულების დრო: 15:56 საათი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

1. შპს სკოლა თამარიონ+ - ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიღებული 2024 წლის 02 დეკემბრის N1544249 გადაწყვეტილება „შპს სკოლა თამარიონი+ -სთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:58 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ელექტრონული
ზზ ამ ჯ ე ს ს ბ ე ღ ი ს
ელექტრონული